წმინდა სინოდს მნიშვნელოვნად მიაჩნია უკრაინაში მორწმუნეთა უფლებების დარღვევაზე ყურადღების მიპყრობა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 12.29.2022. 29 დეკემბერს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებმა **იმსჯელეს** უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე. სინოდის სხდომა **გაიმართა** მოსკოვში, დანილოვის მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 4 დეკემბერს უკრაინის პრეზიდენტმა ვ.ა. ზელენსკიმ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების სერია დააანონსა. ამ ქვეყნის უმაღლესი

საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად შეტანილ იქნა კანონპროექტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და გულისხმობს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრიმინაციას და მისი უფლებების შეზღუდვას. ამის ფონზე უკრაინაში გააქტიურდა უკანონო ქმედებები კანონიკური ეკლესიის სტრუქტურებისა და მისი წევრების მიმართ.ეპარქიის ადმინისტრაციები, მონასტრები და სამრევლოები დაუქვემდებარეს ჩხრეკას, ხოლო სასულიერო პირები, მონაზვნები და ერისკაცები - დამამცირებელ შემოწმებებს და დაპატიმრებებს გამოგონილი საბაბით; უწესებენ „პერსონალურ სანქციებს“. გახშირდა სქიზმატიკოსთა პროვოკაციები და მათ მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრების მიტაცება. კანონიკურ ეკლესიას ემუქრება კიევ-პეჩერის მიძინების ლავრის ტაძრებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა.

უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე მზარდ ზეწოლას თან ახლავს აღვირახსნილი ანტიეკლესიური მედია-კამპანია, რომელსაც აწარმოებენ ცნობილი პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები საბჭოთა წარსულის ანტირელიგიური კამპანიების სულისკვეთებით.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მხარდაჭერა გამოუცხადა მღვდელთმთავრებს, კლირიკოსებს, მონაზვნებსა და ერისკაცებს, რომლებიც აჟამინდელ მძიმე ვითარებაში ცდილობენ, შეინარჩუნონ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობა და კანონიკური წყობა.

ხაზი გაესვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების, ქრისტიანული კონფესიებისა და მსოფლიო რელიგიური საზოგადოებების წარმომადგენლების, ასევე, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობის მნიშვნელობას უკრაინაში მორწმუნეთა უფლებების დარღვევებზე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89906/